პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

8 აპრილი, შაბათი, 1989 წ.
№ 68 (9987) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მერვედფინალში...

თბილისში, ქუთაისში, კიევსა და ტაშკენტში დამთავრდა რეგბისტთა საკავშირო თასის გათამაშების ზონალური, მერვედფინალში გასასვლელი ტურნირები.

თბილისის ჯგუფის საერთო შედეგები უკვე გაცნობეთ — „ელმავალი" მერვედფინალში გავიდა. ჯგუფურ ტურნირში ასეთსავე წარმატებას მიაღწიეს ქუთაისელმა რეგბისტებმა, რომლებმაც სასტარტო მატჩში დიდი ანგარიშით — 79:3 — დაამარცხეს ზელენოგრადის „სირიუსი". შემდეგ, ტურნირის ცენტრალურ მატჩში, ქუთაისელებმა სძლიეს უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ წამყვან კოლექტივს — ჭოსკოვის „ლოკომოტივს" — 24:9; პესამე შეხვედრაში, ლენინგრადის „ელექტრონმაშის" წინააღმდეგ, გუნდის ხელმძღვანელობამ ახალგაზრდული შემადგენლობა გამოიყვანა. მართალია, ამ, ასე ვთქვათ, ექსპერიმენტულ თამაშში ნევისპირელებმა გაიმარჯვეს (13:10), მაგრამ დარჩენილ ორ შეხვედრაში ქუთაისელებმა კვლავ იმარჯვეს და საბოლოოდ ზონალურ ტურნირში პირველი ადგილი დაიკავეს.

გთავაზობთ თექვსმეტივე მერვედფინალისტის წელისყრის შედეგებს. 10 მაისს ერთმანეთს შეხვდებიან „რადუგა" (ტაგანროგი)—ეტს, სსკასკ (ალმა-ათა), კპი (კიევი) — „ფილი", „სპარტაკი" — „ავიატორი"; „ელექტრომაში" (ტირასპოლი) — „სლავა", „სტრელა", — „ზვეზდა" (ტაშკენტი), „ელმავალი" — „ლოკომოტივი", რაფი (ელგავა) — „ქუთაისი".

მეოთხედფინალური მატჩები გაიმართება 7 აგვისტოს, ნახევარფინალური — 16 აგვისტოს, ფინალი კი 19 სექტემბერს მოეწყობა.



გორში დაიწყო ცნობილი საბჭოთა სპორტსმენის ანატოლი ხარლამპიევის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტურნირი სამბოში. ქალაქის ცირკში მოწყობილ საჭიდაო ხარბიელზე გამოდიან საქართველოს, საბჭოთა კავშირის, იაპონიის, საფრანგეთის, ბულგარეთის, ბელგიისა და ბულგარეთის სპორტსმენები.

სურათზე: თემურ შეთეკაურია და იაპონელი კონოსუკი ტოკიგივარას შეხვედრა.

ტ. ნაპიშვილის ფოტო. (საქინფორმი).

მესხი და ზვერევა-პირისპირ

ჰილტონ ჰედ აილენდი (აშშ). ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის მორიგი შეხვედრები ლეილა მესხმაცა და ნატალია ზვერევამაც მოიგეს და მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. მიმომხილველები განსაკუთრებით გამოყოფენ ლეილა მესხის გამარჯვებას ცნობილ ამერიკელ ჩოგბურთელთან (მეათე ადგილი მსოფლიო კლასიფიკაციაში) ლორი მაკნილთან — 6:1, 6:2. ზვერევამ ამ დღეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენელს ამანდუ კოეტზერს აჯობა — 6:4, 3:6, 6:0. მომდევნო წრეში მესხი და ზვერევა ერთმანეთს ხვდებიან.

ბრძოლას ჯერჯერობით აგრძელებენ, აგრეთვე, შტეფი გრაფი (გფრ), მარტინა ნავრატილოვა (აშშ), ხანა მანდლიკოვა (ავსტრალია), არანტა სანჩესი (ესპანეთი), რადკა ზრუბაკოვა (ჩეხოსლოვაკია) და ლინდა ფერანდო (იტალია).

გიგანტური თამაშები

3:1, 3:1 პოლიტექნიკოსთა სასარგებლოდ

სტუდენტთა გიგანტური თამაშები წელს უფრო მასშტაბური ასპარეზობა გახდა და, ამდენად, იგი მეტ ინტერესს იწვევს. ახლა, სარბიელზე არა მხოლოდ თბილისის უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის, არამედ სხვა უმაღლესი სასწავლებლის გუნდებიც გამოდიან. მაგრამ უნივერსიტეტ-სპის პაექრობა მაინც ცალკე გრძელდება, ამასთან პოლიტექნიკოსები გამოდიან დამატებითი გუნდებით, რომლებიც ყველა სხვა უმაღლესი სასწავლებლის (გარდა ფიზკულტურის ინსტიტუტისა) წარმომადგენლებს ხვდებიან.

პოლიტექნიკოსები ჭეშმარიტად მიზანმიმართულ, ორგანიზატორულ და, რაც მთავარია, პრაქტიკულ მუშაობას ეწევიან ამ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდისთვის.

როგორც ვიუწყებოდით, უკან დარჩა 4 ტური. ჭადრაკში სპი-ს უნივერსიტეტმა აჯობა, მაგრამ პოლიტექნიკოს მოჭადრაკეთა მეორე „ლაშქარმა" მოუგო ყველა უმაღლესი სასწავლებლის ნაკრებს. მრავალჭიდში პირიქით, სპი იყო უძლიერესი უნივერსიტეტელებთან შეხვედრაში, სამაგიეროდ ინსტიტუტების ნაკრებმა აიღო რევანში და ორივე მეტოქესთან სპი-ს ანგარიში გათანაბრდა — 1:1. შემდეგ იყო მძლეოსნური კროსი. აქ ორივე შეხვედრა სპი-მ მოიგო — 2:1. ორივე შეხვედრა მოიგეს პოლიტექნიკოსებმა ფრენბურთშიც. ასე რომ, ახალი ტურის წინ უნივერსიტეტთან და სხვა უმაღლესი სასწავლებლების გაერთიანებულ გუნდებთან სპი ერთნაირი ანგარიშით დაწინაურდა — 3:1, 3:1.

მიშელ მელიავა:

„დიდ მომავალს ვუწინასწარმეტყველებ ბაკურიანს"

— **პლანეტის** თითქმის ყველა საუკეთესო ზამთრის სპორტული ცენტრი მინახავს და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ თავისი ბუნებრივი და კლიმატური პირობებით ბაკურიანი მრავალ მათგანს არ ჩამოუვარდება, — ასეთია საფრანგეთიდან ჩამოსული, მოწყობილობის საერთაშორისო კომპანიის „ლეზარკის" კომერციული დირექტორის მიშელ მელიავას აზრი.

ტურისტული და სამთო ზონების მშენებლობაზე დასპეციალებული ცნობილი ფირმის ოფიციალური წარმომადგენელი უკანასკნელ ხანს რამდენჯერმე ეწვია ჩვენს რესპუბლიკას საქმიანი ვიზიტებით. მიმდინარე წლის იანვრიდან „ლეზ არკის" სპეციალისტები, კონტრაქტის თანახმად, გულდასმით სწავლობენ ბაკურიანის, როგორც ტურიზმისა და სპორტის ცენტრის ზონის შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს.

— იმისათვის, რომ ეს ზონა დიდი ეფექტიანობით ემსახურებოდეს ტურისტულ-სპორტულ ინდუსტრიას, ყველა წინამძღვარი არის, — თქვა შემდეგ მ. მელიავამ. — ასეთია ჩვენი დაკვირვების პირველი შედეგები.

ალბათ, აზრი აქვს ყურად ვიღოთ საფრანგეთიდან ჩამოსული ამ სპეციალისტის სიტყვები. მის ფირმას ხომ სხვადასხვა ქვეყანაში ზამთრის სპორტული ცენტრების მშენებლობის სოლიდური გამოცდილება აქვს. „ლეზ არკი" მონაწილეობდა ბოროვეცის (ბულგარეთი), იასნის (ჩეხოსლოვაკია), კაჰტეპის



მიშელ მელიავა

(თურქეთი), კალგარის (კანადა) და სხვა ქვეყნებში განთქმული სამთო-სათხილამურო და ტურისტული კომპლექსების მშენებლობაში.

— ამ თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესოა ბაკურიანი, — თქვა სტუმარმა. — ადგილმდებარეობის თავისებური რელიეფი არქიტექტორებისა და დიზაინერების შემოქმედებითი საქმიანობის შესანიშნავ შესაძლებლობებს ქმნის. ვსწავლობთ რეგიონის განვითარების ყველა მიმართულებას —სპორტული იქნება ეს თუ ეკონომიკური. ჩვენს საბოლოო მოსაზრებას წარმოგიდგენთ მაისში. თუ მას მოიწონებენ თქვენს ქვეყანაში, ჩვენ კი ამის დიდი იმედი გვაქვს, მაშინ შეიძლება შევუდგეთ ყველა ჩანაფიქრის განხორციელებას.

მ. მელიავამ გვითხრა, რომ მისი ფირმის სპეციალისტები ერთდროულად სწავლობენ ორ ზონას — დიდი ბაკურიანისა და ციხისჯვრის ზონებს, რომლებიც პრაქტიკულად ერთიან ტერიტორიულ მთელს შეადგენენ.

— აქ არის უნიკალური ფერდობები სამთო-სათხილამურო სპორტისათვის, — ფიქრობს იგი. — მათი საერთო ფართობი რვა ჰექტარს აღემატება: ხუთნახევარი ჰექტარი ბაკურიანში და სამ ჰექტარზე მეტი — ციხისჯვარში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აქ შეიძლება გავიყვანოთ რამდენიმე ათეული პირველი კლასის სამთო-სათხილამურო ტრასა, რომელთა საერთო სიგრძე დაახლოებით 150 კილომეტრი იქნება, დავამონტაჟოთ 35-მდე საწეველა — 100 კილომეტრზე მეტი სიგრძისა. ამ შემთხვევაში ბაკურიანი გახდება თავისი მასშტაბით უნიკალური სპორტული ზონა. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ახალი სასტუმრო და ტურისტული კომპლექსების შექმნა კი ამ კურორტს გადააქცევს არა მარტო დიდი სპორტის, არამედ მასობრივი ტურიზმის ნამდვილ ცენტრად. პროექტები თუ განხორციელდა, აქ შეიძლება მივიღოთ ერთბაშად დაახლოებით 12-14 ათასი დამსვენებელი. დარწმუნებული ვარ, რომ ბორჯომის ხეობის სილამაზე მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოიზიდავს მოგზაურობის მოყვარულებს.

შ. შალოლაშვილი,
საქინფორმის კორ.
სპეციალურად „ლელოსთვის".

შტაბის სხდომაზე

საქართველოს სპორტსახკომში გაიმართა მეოთხე საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებისათვის მზადების რესპუბლიკური შტაბის მორიგი სხდომა.

განიხილეს ველოსიპედისტთა, ბალახის ჰოკეისტთა და ფრენბურთელთა ნაკრები გუნდების მზადების მდგომარეობა. გუნდების ხელმძღვანელებმა, სპორტსახკომის ამ სახეობათა მთავარმა მწვრთნელებმა ისაუბრეს მომავალ თამაშებში ნაკრებთა მიზნებსა და ამოცანებზე, იმ პრობლემებზე, რომლებიც ჯერ კიდევ აფერხებს რესპუბლიკის ახალგაზრდული გუნდების სრულფასოვან მზადებას.

დაიწყო პირადი ტურნირი

დორტმუნდი. მაგიდისჩოგბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე დაიწყო ერთეულთა ტურნირი. საჭოოა გუნდის ლიდერმა ანდრეი მაზუნოვმა დიდის გაჭირვებით (3:2) აჯობა ინდოელ შრირამ შრინივასანს, მისი უმცროსი ძმა დმიტრი კი შვედ იან უვე ვალდნერთან დამარცხდა — 1:3.

მაზუნოვებმა წყვილთა შეხვედრაც წააგეს, სამაგიეროდ ვლადიმერ დვორაკმა იაპონელ კოჯი მაციუშიტას აჯობა, ირინა პალინამ—ჩეხოსლოვაკიელ იაროსლავა მახოჩკოვას. ვ. პოპოვამ კი მესამე წრეში თამაშის უფლება მოიპოვა.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ლოგიკური ფინალი

თბილისი, კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლე. 5 აპრილი.

„დინამო" (თბილისი) — „შახტიორი" (დონეცკი) 102:95 (49:50).

„დინამო": შენგელია (27), დარსაძე (21), სანაძე (21), კროპაჩოვი (21), უსტიაშვილი (6), ტიუბინი (3), ფერიაშვილი (3), ვაშაკიძე, ტალაბაძე, კოლიჩევი.

„შახტიორი": ლუკიანეცი (21), ეარკოვი (17), შესტოპალი (16), პოლოვიანოვი (13), ერმოლინსკი (12), ივახნენკო (10), ოკუნსკი (4), გაზაევი (2), ბელიკოვი, კაჩურა, პოლშინი.

მსაჯები — ვ. ზაიცევი (მოსკოვი) და ა. ზაკისი (კაუნასი).

ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპზე ყოველ ქუჩას, ყოველ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ დღეს, თბილისის „დინამოს" გულშემატკივრებს არანაკლებად ახარებს გუნდის თამაშის ხარისხის დონე და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, კოლექტივის საბრძოლო სულისკვეთება. „დინამო" ყოველ ახალ მატჩში ავლენს ხასიათს და შესაფერ სტაბილურობას, თვისებებს რომლებმაც გათამაშების ამ საპასუხისმგებლო ეტაპზე შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინოს.

დონეცკის „შახტიორთან" განმეორებითი მატჩის პირველ ნახევარში ვითარება საკმაოდ ბუნდოვანი იყო, მაგრამ ერთი წუთითაც არ დავეჭვებულვართ იმაში, რომ „დინამო" მიზანს მიაღწევდა. ეს რწმენა არც ტაიმის შედეგმა შეგვიტანა: ერთქულიანი სხვაობა სტუმრების სასარგებლოდ ბრძოლის მხოლოდ რიგითი ეპიზოდი იყო და არავითარ შემთხვევაში არ ასახავდა მატჩის საერთო სურათს, რომელმაც მეორე ნახევარში დინამოელთა უპირატესობა გამოკვეთა.

5 აპრილის წარმატებას, როგორც ყველა გამარჯვებას, ჰყავდა კონკრეტული ავტორები. მათ შორის უნდა გამოვყოთ ცენტრალურ თავდამსხმელთა საოცრად მოძრავი და მობილური ტანდემი (შენგელია-კროპაჩოვი) და აქტიური უკანა ხაზი გუნდის კაპიტნისა და მთავარი გამთამაშებლის დარსაძის ხელმძღვანელობით. სწორედ დარსაძის მიერ შესრულებულმა ზუსტმა სამქულიანმა სროლებმა გადაწყვიტა მატჩის ბედი მასპინძელთა სასარგებლოდ. ეს იყო ბრძოლის ლოგიკური ფინალი, რომელმაც თბილისის „დინამოს" დამსახურებული გამარჯვება მოუტანა.

სხვა მატჩები

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

ლენინგრადი. ადგილობრივმა „სპარტაკმა" კიევის „სტროიტელთან" ორივე შეხვედრა წააგო. პირველ მატჩში სტუმრების უპირატესობა ამაკარა იყო — 100:77 (58:32). მეორეში, შეხვედრისათვის განკუთვნილი ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა 82:82 (44:47). უკრაინელმა კალათბურთელებმა წარმატებას მიაღწიეს დამატებით დროში — 96:92.

ალმა-ათა. ყაზახეთის დედაქალაქის არმიელებმა მოულოდნელი მარცხი განიცადეს მოსკოვის „დინამოსთან" ორთაბრძოლაში — 93:97 (45:57).

ევროპის საკლუბო ტურნირები

თასი—„იუგოპლასტიკას"

მიუნხენი. კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი პირველად მოიგო სპლიტის („იუგოპლასტიკა") „იუგოპლასტიკამ". ფინალში მან ტელ-ავივის „მაკაბი" დაამარცხა — 75:69 (35:35).

არადა ამ მატჩში ფავორიტად ისრაელის კალათბურთელები ითვლებოდნენ, რომელთა შორის რამდენიმე ამერიკელი თამაშობს. „მაკაბი" ამ ტურნირის ფინალში შვიდჯერ გამოდიოდა და ორჯერ — 1977 და 1981 წლებში ფლობდა კიდეც საპატიო პრიზს. მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრა „იუგოპლასტიკამ" უკეთ ჩაატარა და სასურველი მიზანსაც მიაღწია. გამარჯვებულ გუნდში საუკეთესონი იყვნენ 20 წლის ტონი კუკოჩი (სიმაღლე 208 სმ) და დინო რაჯი. პირველი 18 ქულა შესძინა, მეორემ — 20.

მესამე ადგილი საბერძნეთის „არისმა" დაიკავა, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში დაჯაბნა ესპანეთის „ბარსელონა" 88:71 (48:38). მატჩის საუკეთესო სნაიპერი იყო ბერძენთა ლიდერი ნიკოს გალისი — 36 ქულა.

მიზანი – უმაღლესი ლიგა

ახლახან ქუთაისის ცენტრალური სტადიონის ხელოვნურსაფარიან მოედანზე ჩატარდა ბალახის ჰოკეისტთა ორი საინტერესო ტურნირი, რომლებმაც ახალი წარმატება მოუტანა ქუთაისელ სპორტსმენებს.

აქ ჯერ გაიმართა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პირველი პირველობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის, თბილისის, ლანჩხუთის, ბათუმის და წყალტუბოს გუნდებმა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ტურნირი სეზონის პირველი შეჯიბრება იყო, სპეციალისტების აზრით, გუნდებმა კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოავლინეს და ორთაბრძოლებიც საკმაოდ დაძაბულად წარიმართა.

როგორც მოსალოდნელი იყო, წარმატებით ისპარეზა ქუთაისის გუნდმა (მწვრთნელი ჭ. ბაზაძე), რომელმაც პირველსავე მატჩში დიდი ანგარიშით — 11:1 სძლია ბათუმის გუნდს, შემდეგ კი ერთნაირი ანგარიშით — 5:0 დაამარცხა ლანჩხუთისა და წყალტუბოს კოლექტივები. ყველა შეხვედრა მოიგეს თბილისელმა ჰოკეისტებმაც — მათ აჯობეს ლანჩხუთის (5:0), ბათუმის (3:1), წყალტუბოს (4:1) გუნდებს და გადამწყვეტ მატჩში სწორედ თბილისის და ქუთაისის გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. მატჩის ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — იგი დამთავრდა ფრედ — 1:1. დებულების თანახმად, დაინიშნა პენალტების სერია. აქ უფრო გამოცდილმა ქუთაისელებმა იმარჯვეს და გაიმარჯვეს საერთო ანგარიშით 5:4.

მეორე ადგილზე გავიდნენ თბილისის (მწვრთნელი გ. კობალიანი), ხოლო მესამეზე — ლანჩხუთის (მწვრთნელი ა. ბარბაძე) გუნდები.

• • •

ორიოდე დღის შემდეგ აქვე ჩატარდა სეზონის პირველი საკავშირო შეჯიბრება — სსრ კავშირის თასის 1989 წლის გათამაშების ზონალური ტურნირი, რომელშიც უმაღლესი ლიგის ორი და I ლიგის სამი გუნდი მონაწილეობდა.

აღსანიშნავია, რომ ზონიდან მხოლოდ ერთი — გამარჯვებული კოლექტივი გადიოდა თასის გათამაშების ნახევარფინალში. სწორედ ამან განაპირობა ტურნირის დაძაბულობა.

შეჯიბრების პირველ დღეს ქუთაისის „ლოკომოტივი“ შეხვდა ყუბიშევის „ტრუდს“. ამ მატჩში ს. მამისეიშვილისა და ა. კოხრეიძის მიერ გატანილმა ორმა ბურთმა გამარჯვება მასპინძლებს მოუტანა. მორიგი მეკარე უმაღლესი ლიგის ბინადარი ხაქოს „აზინეფიმი“ იყო. პირველ ტაიმში გატანილ ერთ ბურთს, ლოკომოტიველებმა მეორე ტაიმში კიდევ სამი დაუმატეს და მათზე გამოცდილ მეტოქეს დამაჯერებლად მოუგეს 4:0. ამ შეხვედრაში ჩამი გოლი გაიტანა ს. მამისეიშვილმა, ერთი ა. ჯანგავაძემ. III ტურში ქუთაისელთა მეტოქე ბაქოს შეორე გუნდი „აზერტიფაკი“ იყო. ეს დაძაბული შეხვედრა, თითქოს, ფრედ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ბოლო წამებში ქუთაისელთა კაპიტანმა მ. ფულარიანმა შორი მანძილიდან ულამაზესი დარტყმით გადამწყვეტი ბურთი გაიტანა.

ტურნირის ბოლო შეხვედრა ქუთაისელებმა საკავშირო ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორთან და IX საზაფხულო სპარტაკიადის ვერცხლის მედლების მფლობელთან ვასილკოვოს „ისკრასთან“ (უკრაინის ღირსების სპარტაკიადაზე ეს გუხდი იცავდა) გამართეს.

უკრაინელებს ამ შეხვედრაში ფ. ეც ხელს აძლევდათ (წინა შეხვედრებში მათ უფრო დიდი ანგარიშებით გაიმარჯვეს), I ადგილი და ნახევარფინალის საგზური რომ მოეპოვებინათ.

ამ უკომპრომისო ორთაბრძოლის მე-6 წუთზე ანგარიში გახსნა გ. ჩარკვიანმა. მასპინძლებს არც ამის შემდეგ დაუთმიათ ინიციატივა — მათ რამდენიმე ნაღდი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ ანგარიშის გაზრდა მაინც ვერ მოახერხეს. მეორე ტაიმში უპირატესობას გამოცდილი ისკრელები დაეუფლნენ და სახიფათოდ შეუტიეს ქუთაისელთა კარს. ამ ძნელ წუთებში შესანიშნავად ითამაშეს „ლოკომოტივის“ მეკარემ მ. ჯოჯუამ და მცველებმა ბ. კუდუხოვმ და ა. კოხრეიძემ, რომლებმაც არაერთხელ იხსნეს საკუთარი კარი. საბოლოოდ, ქუთაისელმა ჰოკეისტებმა მეტად საპატიო გამარჯვება მოიპოვეს და გუნდის ისტორიაში პირველად სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდნენ.

ამ ტურნირში ქუთაისის „ლოკომოტივის“ ღირსებას იცავდნენ მ. ჯოჯუა, მ. ოხუბაძე, ა. კოხრეიძე, მ. ფულარიანი, ბ. კუდუხოვი, თ. წიქარიშვილი, ა. მაჩალაძე, მ. ჭიკაძე, ა. ძნელაძე, ა. ჯანგავაძე, ს. მამისეიშვილი, ზ. ჩარკვიანი, გ. ჩარკვიანი, რ. ბიქიროვი, კ. ოყრეშიძე, გ. ნორდია, ა. გოგავა, ხ. ჯავახაძე, გ. რადკო, ა. მილოვი, რ. ვარშანიძე, მ. კომახიძე. გუნდის მთავარი მწვრთნელია თ. არჩაია, უფროსი მწვრთნელი — ჭ. ბაზაძე, მწვრთნელი ფიზიკურ მომზადებაში — ა. ალექსეევი.

საკავშირო თასის გათამაშების ნახევარფინალური და ფინალური ეტაპები 6-12 აპრილს გაიმართება ლენინგრადში. „ლოკომოტივის“ მეტოქეები იქნებიან სსრ კავშირის 16-გზის ჩემპიონი ალმა-ათის „დინამო“, ორგზის ჩემპიონი სვერდლოვსკის ასკ და სხვა არანაკლებ ტიტულოვანი მეტოქეები.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ ტურნირის მთავარ მსაჯს, „ლოკომოტივის“ და „ისკრას“ მწვრთნელებს.

ვ. შეპაკოვი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი: უკვე ხუთი წელიწადია ყურადღებით ვადევნებ თვალს ქართველი ბალახის ჰოკეისტების გამოსვლებს საკავშირო პირველობებში და მინდა აღვნიშნო, რომ ამ გუნდის ოსტატობა იზრდება. წლევანდელ სათასო ტურნირს იგი კარგად მომზადებული შეხვდა და ღირსეულად დაიკავა პირველი ადგილი. მე მწამს თქვენი გუნდისა. იგი მალე დამკვიდრებს ადგილს საუკეთესოთა შორის. რაც შეეხება ტურნირს, იგი ძალიან კარგად იყო ორგანიზებული და მასპინძლების მიმართ მადლობის მეტი რა გვითქმის.

ა. კაცეპალი („ისკრას“ მთავარი მწვრთნელი): ამ ტურნირის მთავარი აღმოჩენაა თქვენი „ლოკომოტივი“. მასთან თამაშის დამთავრების შემდეგ ჩემმა ბიჭებმა იტირეს, რადგან ჩვენ გარკვეულ იმედებს ვამყარებდით წლევანდელი

გათამაშების ფინალურ ეტაპზე. მე ბევრი მსმენია ქართველ სპორტსმენთა ბრძოლის ენაზე და აქ თვალნათლივ დავრწმუნდი ამაში. თქვენი ბიჭები მთელი მატჩის განმავლობაში თავგანწირვით, ენინიანად იბრძოდნენ, თავის თავზე იღებდნენ ძლიერ დარტყმებს და ისე უფრთხილდებოდნენ მეკარეს, თითქოს იგი შუშისა ყოფილიყოს. თავის მხრივ მეკარეც სასწაულებს ახდენდა. ძალიან მომეწონა აგრეთვე მცველი კობრეიძე. გაისად, ალბათ, უკვე უმაღლეს ლიგაში ვიხვდებით ერთმანეთს.

თ. არჩაია („ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი): გვსასახელეს ბიჭებმა, საუცხოოდ ითამაშეს. დიდი წარმატებაა, მოხვდე ფინალურ ოთხეულში. ეს შედეგი იმიტომაც გვახარებს, რომ ვიგრძენით — გუნდი კარგად მოემზადა ახალი სეზონისათვის, რომლისაგანაც ბევრს ველით — მიზნად დავისახეთ მოვიპოვოთ უმაღლესი ლიგის საგზური.

თამაზ ხარაბაძე,
„ლელოს“ საკ. კორ.

ქუთაისი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: უტიევენ ქუთაისელი ჰოკეისტები.
თ. ჯავახაძის ფოტო.

ნაკლი და ღირსება

პროფესიონალიზმი კროსებისა სანაცვლოდ?

მძლეოსნური ეტაფეტა საშუალო მანძილზე რბენაში შედარებით უჩვეულო შეჯიბრებაა და საკმაოდ იშვიათად ტარდება ჩვენთან. მის ორგანიზატორთა აზრით, ასეთი ამანათრბენი ხელს უწყობს მძლეოსნობის ჩამორჩენილი სახეობების გამოცოცხლებას. თუმცა არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომელსაც ქვემოთ გაგაცნობთ. ჯერ კი გვინდა გიამბოთ საქართველოს სპორტსკოლების მოსწავლეთა პირველობის შესახებ (ამანათრბენში), რომელიც გასულ კვირას, 2 აპრილს გაიმართა კუს ტბის ირგვლივ.

წინასწარ ვიტყვით, რომ ყველაზე დიდი უხერხულობა ასპარეზობის ვადის გამო წარმოიქმნა. სწორედ იმ დროს, საქართველოს სახალხო განათლების სამინისტრო თბილისში ატარებდა თავის რესპუბლიკურ ჩემპიონატს (ამანათრბენი კი სპორტსახკომის ღონისძიება იყო). ასე რომ ზოგიერთ მძლეოსანს დიდი დატვირთვა მოუწია, მათ სამ დღეში სამ დისტანციაზე მოუხდათ გამოსვლა 800-დან 3000 მეტრამდე.

კუს ტბაზე საასპარეზოდ 12 გუნდი გამოცხადდა: ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, რუსთავის, ფოთის, ახალციხის, გარდაბნის, წალკის და თბილისში არსებული სპორტსკოლების: პროფკავშირთა რესპუბლიკური და საქალაქო, აგრეთვე სახალხო განათლების სამინისტროსა და საქალაქო სამმართველოს გუნდები. ქუთაისელები უგზოობამ შეაფერხა. თითოეულ კოლექტივში ეტაპების რიცხვის მიხედვით 10 მორბენალი ირიცხებოდა. ეტაპების სიგრძე ტბის გარშემო ერთიდან (1145 მ.) სამი წრე იყო.

სტარტიდან წინ გაიჭრა და საგრძნობლად დაწინაურდა თბილისის განათლების სამმართველოს ნაკრების წევრი ეკა თევზაძე, თუმცა მომდევნო ეტაპებზე სხვა გუნდებმა უკეთესი მორბენლები გამოიყვანეს და დაკარგული აინაზღაურეს. მაგრამ მეოთხე ეტაპზე (ორი წრე) ეკას ძმამ მამუკა თევზაძემ მეოთხე პოზიციიდან კვლავ პირველზე გაიყვანა თავისი კოლექტივი, მაგრამ მცირე ხნითა მდევრებმა ისევ იყო ჩაღეს და შე-5 ეტაპის წინ რამდენიმე გუნდმა (განათლების სამინისტროს, პროფკავშირებისა და ცხინვალის) გაუსწრო დაწინაურებულებს. მეხუთე ეტაპზე (სამი წრე) გათამაშდა საგანგების პრიზი, რომელიც ცხინვალელმა ინდირა გაზაევამ დაიმსახურა. მან ყველაზე სწრაფად გაირბინა 3450 მ, თუმცა დაწინაურებულ თანაქალაქელ ეკა კობალაძეს (იგი განათლების სამინისტროს სპორტსკოლის მოწაფეა) ვეღარ დაეწია.

მომდევნო ეტაპებზე კი პროფკავშირთა რესპუბლიკური მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლის გუნდის წევრებმა, ახალციხელმა სამველ სტეფანიანმა (მანაც მიიღო საგანგებო პრიზი) და თბილისელმა ინა იზმაილოვამ საბოლოოდ დააწინაურეს თავიანთი გუნდი, რომელსაც ამანათრბენის ბოლომდე აღარ დაუთმია უპირატესობა. ცხინვალელმა მადინა კაჩმაზოვამ მეორე ადგილზე გაიყვანა თანაგუნდელები, მესამე ადგილისთვის დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა სახალხო განათლების სამინისტროსა და რუსთავის ნაკრებებს შორის, რომელშიც გაიმარჯვეს სამინისტროს სპორტსკოლის მოსწავლეებმა.

პროფკავშირთა რესპუბლიკური სკოლის გუნდმა (დირექტორი ედუარდ ლომთაძე, უფროსი მწვრთნელი ანდრეი შჩოგოლევი, მწვრთნელები დავით მელაძე და მამაკონ პილოიანი) 10 ეტაპის ჯამში ერთი საათი, 13 წუთი და 59 წამი აჩვენა. ცხინვალის სპორტსკოლის მოსწავლეებმა (დირექტორი ლევან ნანიეი, უფროსი მწვრთნელი ალექსანდრე ჯალილოვი, მწვრთნელი ვასილი გთიკოევი) — 1:14,23, სახალხო განათლების სამინისტროს კოლექტივმა (დირექტორი რევაზ ოდიშარია, უფროსი მწვრთნელი აზირ სუხიაშვილი, მწვრთნელი ბადრი ასათიანი) — 1:14.45.

გამარჯვებული გუნდის ღირსებას იცავდნენ (ეტაპების მიხედვით): ირმა ბერიძე, ბესიკ კერესელიძე, ჟანა ბესტავა, დავით ედიშერაშვილი, ალიონა ლაცაბიძე, სამველ სტეფანიანი, ინა იზმაილოვა, ეთ[illegible]ოზაძე, ეკატერინა რომანოვა [illegible]ექსანდრ მარაშლიანი.

შეჯიბრებას თვალს ადევნებდა საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ევგენი გაგუა, რომელსაც ვთხოვეთ აზრი გამოეთქვა ჩატარებული ასპარეზობის შესახებ.

— მართალი გითხრათ, ასეთი სახის შეჯიბრება არ მომწონს. მძლეოსნობა წმინდა ინდივიდუალური სპორტია, ძლიერი სპორტსმენი არ [illegible]ნდა ი[illegible]გრებოდეს სხვათა სუსტი [illegible]ამზადებ[illegible]ს გამო, როგორც ეს ამანათრბენ[illegible] ხდება. ერთ მორბენალს [illegible] [illegible]ვეს გადაუბრუნდეს, მთელი [illegible]ტივის შრომა წყალში იყ[illegible] მართალია, მძლეოსნობაშიც [illegible]ბს 4X100 და 4X400 შეტ[illegible] ეტაფეტები, მაგრამ ისინი კარგ[illegible] ხნის წინათ ჩამოყალიბებული, დაბვეწილი დისციპლინებია და სხვა დამატება აღარ არის საჭირო.

რაც შეეხება საშუალო და გრძელ მანძილებზე რბენას, მისი გამოცოცხლება და განვითარება მართლაც საჭიროა, ოღონდ არა ამ გზით. საჭიროა ხშირად ჩატარდეს კროსები. სირცხვილი არაა, რომ მოსწავლეებს მთელ საგაზაფხულო პერიოდში საჭირო კროსების ნაცვლად ეს ერთადერთი ამანათრბენი ჩაუტარეს? ამაზე უნდა ვიფიქროთ და მომდევნო სეზონისათვის საბოლოო ღონისძიებები შევამუშაოთ.

რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე

ამ დღეებში ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა მოჭიდაველებმა (კლასიკური სტილი) სამ სხვადასხვა რანგის ტურნირში მოსინჯეს ძალები.

სამტრედიაში ჩატარდა 1975-1976 წლებში დაბადებულთა რესპუბლიკური პირველობა. ტურნირისადმი გაზრდილ ინტერესზე მიგვანიშნებს ის, რომ სპარიზო ადგილებისთვის 28 რაიონის 300-ზე მეტი ნორჩი ათლეტი იბრძოდა. პირველობა ტრადიციისამებრ 16 წლამდე ჩატარდა. გამარჯვება მოიპოვეს: ზაზა მდინარაძემ (მახარაძე), კობა კიკაძემ (ხაშური), ავთანდილ ტუღუშმა (მახარაძე), ალმასხან ხუჭჯუამ (ხობი), გელა ბეკანიშვილმა (მარტყოფი), ალექსანდრე აშიგოვმა (მარნეული), კახაბერ კუხალაშვილმა (ქუთაისი), ივანე კადიშევმა (თბილისი), ლაშა გაფრინდაშვილმა (ჭიათურა), ზურაბ ფოლიძემ (ჩოხატაური), ზაზა ახალაძემ (სამტრედია), მამუკა წურწუმიამ (ქუთაისი), კობა ვაშაკიძემ (სამტრედია), გიორგი ნინიაშვილმა (თბილისი), მირიან გიორგაძემ (თერჯოლა), გიორგი გარდავამ (თბილისი).

როგორც გამარჯვებულთა სიიდან სჩანს აღნიშნულ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს რესპუბლიკის თერთმეტი რაიონული ცენტრისა და ქალაქის წარმომადგენლებმა. ასეთი „გეოგრაფია“ უდავოდ მისასალმებელია და ნორჩ მოჭიდავეთა კარგ პერსპექტივებზე მიგვანიშნებს.

სპორტში ენთუზიაზმი და მონდომება წარმატების მნიშვნელოვანი პირობები გახლავთ. სწორედ საქმისადმი კეთილსინდისიერმა დამოკიდებულებამ განაპირობა ის, რომ მახარაძეს, მაგალითად, ორი ჩემპიონი და კიდევ რამდენიმე პრიზიორი ჰყავდა. მახარაძეში კლასიკურ ჭიდაობას ჰყავს კარგი პატრონი და საკმაოდ ენერგიული, საქმის მოყვარული და დაუზარელი უნთუზიასტები. ესენი პირველ რიგში არიან ძმები იური, ზურაბ და ვალერი ზურაბიანები.

მსგავსი მაგალითის მოყვანა კიდევ შეიძლება. გარდაბნის რაიონში ნაყოფიერად მუშაობს გოდერძი ჯოხაძე, რომლის აღსაზრდელებმა ამ ტურნირში ერთი პირველი, ორი მეორე და ერთი მესამე ადგილი დაიკავეს.

საგულისხმოა ხობის მაგალითიც. ადრეულ რაიონი მოჭიდაველებით არ იყო გამორჩეული. მაგრამ აი ქალაქში ფუნქციონირებს სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატი და მაშინვე გამოჩნდნენ პერსპექტიული ათლეტები. ერთ-ერთმა მათგანმა ტურნირში პირველი ადგილი მოიპოვა, რამდენიმე კი IV-VI ადგილებზე გავიდა. როგორც ჩანს მწვრთნელს „ეიგული“ ბეჭკორიას აქვს სამუშაო და ისიც ენერგიას არ იშურებს.

შეჯიბრების მონაწილეებმა დამაკმაყოფილებელი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოამჟღავნეს. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ნორჩ სპორტსმენებს არც ერთ ორთაბრძოლაში ტრავმა არ მიუღია. მაგრამ ისე ნუ ვიფიქრებთ, თითქოს რესპუბლიკის ყველა რეგიონში საქმე კარგად იყოს.

შესამჩნევად დათმეს პოზიციები აქარის მოჭიდაველებმა და ცხაკაიელებმა, ადრე აქ მუდამ ჰყავდათ პერსპექტიული, იმედის მომცემი ათლეტები, ახლა კი მათი ნაკლებობა აშკარად შეიმჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისს ამ ტურნირში ყველაზე მეტი ჩემპიონი (სამი მოჭიდავე) ჰყავდა, ერთგვარი ინერტულობა აქაც შეიმჩნევა, რაც დედაქალაქის ტრადიციებისთვის აშკარად უკადრისია.

● **რიგის** მახლობლად ქალაქ ადაჟაში გაიმართა 1971-1972 წლებში დაბადებულთა საკავშირო საუწყებო პირველობა. საქართველოს კლასიკოსთაგან თავი გამოიჩინეს: 68 კგ-ში ქუთაისელმა გოგიტა ჭინჭველაშვილმა (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) და 58 კგ-ში ზაზა ედიბერიძემ (სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატი, „შრომითი რეზერვები“). ჭინჭველაშვილმა (მწვრთნელები ჯემალ კოსტავა და ელგუჯა მარუაშვილი) II სპარიზო ადგილი დაიკავა, ედიბერიძემ კი (მწვრთნელი ვაჟა კრავეიშვილი და სემიკო ლოლაძე) — მესამე.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ჩვენი რესპუბლიკის სხვა მოჭიდაველებმაც, კერძოდ, ქუთაისელებმა დავით რუხვაძემ (54 კგ) და გიორგი სალდაძემ.

● **ბულგარეთის** ქალაქ პერნიკში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდების შორის. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა სამი მოჭიდავე საქართველოდან. სამივენი სპარიზო ადგილებზე გავიდნენ.

ტურნირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ორმა საბჭოთა ათლეტმა — სამტრედიელმა აკაკი ჩაჩუამ (68 კგ) და მოსკოველმა კამო აზბარცუმოვმა (57 კგ). თბილისელებმა გელა პაპაშვილმა (48 კგ) და რამაზ გადაბაძემ (90 კგ) მეორე ადგილები დაიკავეს.

I ლიგა

6 მარტს დაიწყო სსრ კავშირის 1989 წლის საფეხბურთო პირველობა I ლიგის გუნდებს შორის, იმ ქალაქების სტადიონებზე, სადაც „ასტარტო მატჩები შედგა, მოხდა გათამაშების საზეიმო გახსნა, „მეორე ეშელონის“ გუნდები შეუდგნენ ხანგრძლივი ტურნირის რთულ გზას.

ამ ლიგაში, როგორც ვიცით, გამოდის საქართველოს 3 გუნდი. ბათუმის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ პირველი შეხვედრები შინ ჰქონდათ, ხოლო ლანჩხუთის „გურია“ სტუმრად გამოდიოდა.

„დინამო“ (ბათუმი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 0:0

ამ მატჩის შესახებ ჩვენმა ბათუმელმა კორესპონდენტმა **ლევან ქავჭარაძემ** ტელეფონით შეგვატყობინა:

მოლოდინის საწინააღმდეგოდ თამაში ერთობ დუნე, ნელი ტემპით მიმდინარეობდა. „ფაკელის“ შემადგენლობაში რამდენიმე საკმაოდ ძლიერი, გამოცდილი ფეხბურთელი გამოდიოდა, სტუმართა გუნდი უმთავრესად თავს იცავდა და საკმაოდ წარმატებითაც, იშვიათად ახორციელებდა კონტრშეტევებს. რაც შეეხება დინამოელებს, ისინი ხშირად ყოვნდებოდნენ მინდვრის შუაგულში, ნაკლებად უქმნიდნენ საფრთხეს მეტოქეს.

რამდენადმე გამოცოცხლდა თამაში შესვენების შემდეგ, უფრო ენერგიულად ამოქმედდნენ ფეხბურთელები, მაგრამ შესამჩნევ უპირატესობას მაინც ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია, ანგარიში 0:0 ზუსტად შეესაბამება თამაშის მსვლელობას.

ბათუმის „დინამომ“ ამ მატჩში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ბალაძე, გოგიტიძე, მ. მახარაძე (მჭედლიშვილი), დურდიაძე, ჩიქოვანი, ჯოხაძე, კიკლიაშვილი, კაკალაშვილი, ბიგვავა, ქვანია, მიქაშავიძე. იმსაჯა კიშინიოველმა ნ. ბარტელმა.

„ტორპედო“ (ქუთაისი)—„ნისტრუ“ (კიშინიოვი) 1:3 (1:1)

ახლად გარემონტებული სტადიონი სტუმართმოყვრულად დახვდა მაყურებლებსაც და ფეხბურთელებსაც. ტრიბუნებზე ხალისიანი, ოპტიმისტური განწყობილება სუფევდა, რომელიც კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ტორპედოელებმა შეტევით დაიწყეს თამაში და მიზანსაც მიაღწიეს, უკვე მე-5 წუთზე ვეტერანმა თავმდამსხმელმა მეგრელაძემ კარგად გამოიყენა მეტოქის კართან შექმნილი მომენტი და გახსნა ანგარიში — 1:0.

მაგრამ მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მასპინძლებმა საშუალება მისცეს „ნისტრუს“ ფეხბურთელებს, რომელთა რიგში რამდენიმე ცნობილი ოსტატი გამოდის, გაეთანაბრებინათ თამაში, ამას კი გოლიც მოჰყვა: 25-ე წუთზე ი. სკალამ გაათანაბრა ანგარიში —1:1.

შესვენების შემდეგ ინიციატივას კიშინიოველები ფლობდნენ, დასაწყისშივე, 50-ე წუთზე, ი. სკალამ კარგად გამოიყენა „ტორპედოს“ მცველთა შეცდომა და დააწინაურა „ნისტრუ“, შემდეგ კი ვასილევმა კარგად გამოიყენა საჯარიმო დარტყმა. ამ გოლმა განამტკიცა კიშინიოველთა გამარჯვება — 3:1.

პირველმა მატჩმა ცხადყო, რომ ქუთაისის „ტორპედოს“ ფუცილებლად ესაჭიროება რამდენიმე ძლიერი, პერსპექტიული ფეხბურთელი, რომლებიც ძალას შემატებენ კოლექტივს. გუნდის საჭირო დაკომპლექტება, გადახალისება უნდა მოხდეს ახლავე, სანამ გვიანი არაა, სანამ გუნდი არ შეჩვევია წაგებათა გზით სიარულს.

ლანჩხუთის „გურია“ 6 აპრილს ტაშკენტში შეხვდა ადგილობრივ „ფახთაქორს“. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს ტაშკენტელმა ფეხბურთელებმა, ანგარიშია 2:1.

I ტურის სხვა მატჩები დამთავრდა ასეთი შედეგებით: „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 0:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „დაუგავა“ (რიგა) 1:0, ასკ (დონის როსტოვი) —ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 3:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — (ცსკა 0:1, „ნეფთჩი“ (ბაქო) — „ქუზბასი“ (კემეროვო) 0:0, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 1:0, „კაირატი“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (სტავროპოლი) 0:0.

II ტურში, 9 აპრილს, ქუთაისის „ტორპედო“ შინ ღებულობს სიმფეროპოლის „ტავრიას“, ხოლო ბათუმის „დინამო“ დონის როსტოვის „როსტსელმაშს“. ლანჩხუთის „გურია“ ალმა-ათაში ხვდება „კაირატს“.

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

გაიმართა ევროპის საკლუბო ტურნირების პირველი ნახევარფინალური მატჩები.

ჩემპიონთა თასი

„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „მილანი“ (მილანი, იტალია) 1:1.

„სტიაუა“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „გალათასარაი“ (სტამბოლი, თურქეთი) 4:0.

თასების ფლოგელთა თასი

„ბარსელონა“ (ბარსელონა, ესპანეთი) — „სრედეცი“ (სოფია, ბულგარეთი) 4:2.

„მეპელენი“ (მეპელენი, ბელგია) — „სამდორია“ (გენუა, იტალია) 2:1.

უეფა-ს თასი

„ნაპოლი“ (ნეაპოლი, იტალია)— „ბაიერნი“ (მიუნხენი, გფრ) 2:0.

„შტუტგარტი“ (შტუტგარტი, გფრ) — „დინამო“ (დრეზდენი, გდრ) 1:0.

იტალიელი გულშემატკივრები ქმაყოფილი არიან ნახევარფინალის პირველი მატჩების შედეგებით. მადრიდში „რეალთან“ ფრედ დამთავრებული მატჩი არსებითად გამარჯვებას ნიშნავს და თვით ის წაგებაც კი, რომელიც „სამდორიამ“ განიცადა, იტალიელთათვის საიმედოა, ვინაიდან ეს გუნდი თავის მინდორზე, გენუაში, ყოველთვის ძლიერად თამაშობს. მაგრამ „ნაპოლისა“ და „ბაიერნის“ წყვილის თაობაზე საბოლოო დასკვნის გამოტანა ახლა ძალზე ძნელია, ვინაიდან დასავლეთგერმანელი ფეხბურთელთა სიძლიერე ყველამ კარგად იცის, მით უმეტეს, რომ საპასუხო თამაში მათ შინა აქვთ ჩასატარებელი.

მიმომხილველები საგანგებოდ ხაზს უსვამენ „რეალისა“ და „მილანის“ ძნელ მატჩს. ამ თამაშში პირველი ბურთი „რეალის“ თავდამსხმელმა ... 43-ე წუთზე. ... „მილანის“ თავდამსხმელმა გულიტმა კარგად გამოიყენა დონადონის გადაცემა და გოლიც გაიტანა, მაგრამ არბიტრმა ფრედრიქსონმა (შვეცია) ამ კრიტიკულ მომენტში თამაშგარე მდგომარეობა მიიჩნია. იტალიელები მაინც უტევდნენ, ამავე დონადონის გადაცემა 78-ე წუთზე კარგად გამოიყენა ვან ბასტენმა და გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

„ბარსელონისა“ და „სრედეცის“ შეხვედრაში 25-ე წუთზე დაწინაურდნენ ბულგარელი ფეხბურთელები (სტოიჩევი), თუმცა სულ მალე ლინეკერმა საპასუხო ბურთი გაიტანა, შემდეგ კი ამორმა და ბიკერომ დააწინაურეს „ბარსელონა“. მალე ესპანელთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი, რომელიც ზუსტად შეასრულა სტოიჩევმა, მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე სალონასმა წერტილი დაუსვა თამაშის შედეგს — 4:2.

საუკეთესოდ ითამაშეს „ბაიერნის“ წინაღმდეგ „ნაპოლის“ ფეხბურთელებმა არგენტინელმა მარადონამ და ბრაზილიელმა კარეკამ. ანგარიში კარეკამ გახსნა, შემდეგ კი თავვი გამოიჩინა კონტავლემ. მატჩის დასასრულს მუხლი დაიზიანა მარადონამ, იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა მინდორი.

სრული უპირატესობა ჰქონდა „სტიაუას“ თურქეთის „გალათასარაისთან“ მატჩში, რაც ანგარიშიც სრულად აისახა — 4:0.

ერთი სიტყვით, ევროპის საკლუბო თასების პირველი ნახევარფინალური მატჩები ძალზე საინტერესოდ ჩატარდა, საპასუხო შეხვედრები გაიმართება 19 აპრილს.

● ფეხბურთი

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

გთავაზობთ სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის V ტურის სტატისტიკურ მონაცემებს.

„პამირი“ — „დინამო“ (კიევი) 0:0.

გააფრთხილეს კიეველი ლუჟნი და დუშანბელი რახმოვი.

დუბლიორები — 0:3.

„ჩერნომორეცი“ — „დინამო“ (მინსკი) 3:2 (2:2). გოლები: შჩეგროვი, კონდრატიევი-2 („ჩერნომორეცი“), ალეინიკოვი, შალიმო („დინამო“).

გაფრთხილეს ოდესელი ფეხბურთელები პროციუკი და ტრეტიაკი, აგრეთვე, მინსკელი გურინოვიჩი.

დუბლიორები — 2:4.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ თბილისელი მსაჯების გ. სეფიაშვილის, ე. სილაგავას და ა. კოკაიას შემადგენლობით.

„არარატი“ (ერევანი) — „როტორი“ 2:1 (0:0). გოლები: მელიქიანი-2, („არარატი“), ბორისოვი („როტორი“). „არარატის“ ფეხბურთელმა ვერანიანმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი, ვოლგოგრადელთა მეკარე კლეიმანოვმა მოიგერია ბურთი.

„შახტიორი“ — „ტორპედო“ 0:0.

დუბლიორები — 0:2.

„დინამო“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ 2:0 (1:0). გოლები: ბულანოვი, კოლეგანოვი.

დუბლიორები — 4:1.

„დნეპრი“ — „უალგირისი“ 1:2 (1:1). გოლები: სონი („დნეპრი“), ფრიდრიკასი, ბარანაუსკასი („ყალგირისი“).

გაფრთხილეს ვილნიუსელი ფეხბურთელი ნარბეკოვასი.

დუბლიორები — 1:0.

● **ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირთა შორის დაწინაურდნენ ოდესელი კონდრატიევი და კიეველი ლიტოვჩენკო, რომლებსაც 5 ტურის შემდეგ 4-4 ბურთი აქვთ გატანილი.

● **„ჩერნომორეცისა“** და მინსკის „დინამოს“ მსაჯებმა ასეთი შეფასებები დაიმსახურეს: გ. სეფიაშვილი — 4, ე. სილაგავა —5, ა. კოკაია — 5.

● **ჩემპიონატის** ლიდერებმა განვლილ ტურში ქულები დაკარგეს: კიევის დინამოელებმა და სპარტაკელებმა მხოლოდ თითო ქულა აიღეს, ხოლო „დნეპრმა“ თავის მინდორზე დამარცხებაც განიცადა. ეს მით უფრო მოულოდნელია, რომ სსრ კავშირის ჩემპიონს თავის ქალაქში შარშან არც ერთი თამაში არ წაუგია.

● **პირველი** გამარჯვება მოიპოვეს თბილისის დინამოელებმა, რომლებმაც თავიანთ მინდორზე დაამარცხეს ხარკოვის „მეტალისტი“, მაგრამ „ლოკომოტივს“, „როტორსა“ და „პამირს“ ჯერ თამაში არ მოუგიათ. არიან წაუგებელი გუნდებიც: „დინამო“ (კიევი), „სპარტაკი“, „დინამო“ (თბილისი), „ტორპედო“ (მოსკოვი).

● **ლენინგრადის** „ზენიტის“ ფეხბურთელებმა განვლილ 5 ტურში სულ ერთი ბურთი გაიტანეს.

● **ადრიან** გაზაფხულზე უმაღლესი ლიგის გუნდები კვლავ რადიკალურად განსხვავებულ პირობებში თამაშობენ. თბილისში საუცხოო სათამაშო მინდორია, ზოგან ჩემპიონატის მატჩები გაუვალი ტალახით დაფარულ მინდორზე მიმდინარეობს, მოსკოვში და ლენინგრადში კი თამაშები დახურულ დარბაზებში ეწყობა.

● **გათამაშების** სტარტზე ძლიერად გამოდიან მოსკოვის „სპარტაკი“, კიევის „დინამო“, „დნეპრი“, ლიდერთა ჯგუფს შეუერთდნენ ერევნის „არარატი“ და თბილისის „დინამო“. ერთ-ერთი მატჩის რეპორტაჟის დროს მიმომხილველმა ვ. პერეტურინმა საკავშირო სპორტსახკომის ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველოს მისამართით საყვედური გამოთქვა, რომ ჩემპიონატში უკვე 5 ტურის მატჩებია განვლილი, მაგრამ ჯერჯერობით არავისა აქვს... გათამაშების დებულება. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. ნიკოლაევმა განაცხადა, რომ ასეთ პირობებში ძალზე ძნელია მატჩების ინსპექტორობა. მას, როგორც ინსპექტორს, საშუალება არა აქვს კონფლიქტურ სიტუაციაში, თუკი იგი წარმოიქმნა, ავტორიტეტული, დასაბუთებული მოსაზრება გამოთქვას.

● **ჩემპიონატის** VI ტურში თამაშობენ: **8 აპრილს.** „სპარტაკი“ — „მეტალისტი“. **9 აპრილს.** „დინამო“ მ. — „დინამო“ კ., „პამირი“ — „ლოკომოტივი“, „დნეპრი“ — „დინამო“ მნ., „ჩერნომორეცი“ — „ყალგირისი“, „შახტიორი“ — „როტორი“, „არარატი“ — „ტორპედო“.

გათამაშების ცხრილები

ძირითადი შემადგენლობანი ● მდგომარეობა 8 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	5	3	2	0	10-2	8
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	5	3	2	0	10-2	8
„არარატი“ (ერევანი)	5	3	1	1	4-4	7
„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	5	3	0	2	6-3	6
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	5	2	2	1	7-8	6
„ტორპედო“ (მოსკოვი)	5	1	4	0	3-1	6
„დინამო“ (თბილისი)	5	1	4	0	6-5	6
„დინამო“ (მოსკოვი)	5	2	1	2	6-5	5
„მეტალისტი“ (ხარკოვი)	5	2	1	2	6-5	5
„უალგირისი“ (ვილნიუსი)	5	2	1	2	6-6	5
„შახტიორი“ (დონეცკი)	5	2	1	2	3-3	5
„დინამო“ (მინსკი)	5	2	0	3	8-9	4
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	5	1	1	3	1-6	3
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	5	0	2	3	2-6	2
„როტორი“ (ვოლგოგრადი)	5	0	2	3	3-9	2
„პამირი“ (დუშანბე)	5	0	2	3	2-9	2

დუბლიორთა შემადგენლობა

მდგომარეობა 7 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	5	5	0	0	14-1	10
„დნეპრი“	5	4	1	0	7-3	9
„არარატი“	5	4	1	0	6-2	9
„ტორპედო“	6	3	2	1	9-8	8
„დინამო“ კ.	5	3	1	1	7-3	7
„დინამო“ მნ.	5	3	0	2	13-7	6
„დინამო“ მ.	5	3	0	2	13-11	6
„დინამო“ თბ.	6	2	2	2	10-8	6
„ლოკომოტივი“	5	2	0	3	9-8	4
„ყალგირისი“	5	2	0	3	6-6	4
„შახტიორი“	5	2	0	3	4-9	4
„ჩერნომორეცი“	5	1	1	3	8-12	3
„ზენიტი“	5	1	0	4	9-11	2
„როტორი“	5	0	2	3	1-9	2
„მეტალისტი“	5	0	1	4	6-13	1
„პამირი“	5	0	1	4	3-14	1

ფეხბურთის სამმართველოდან გვაცნობეს

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის (პირველი ჯგუფი) დებულებაში მოხდა ცვლილება. როგორც გაუწყეთ, წლევანდელ 1989 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველ ჯგუფში დაუშვეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი. ამის შემდეგ პირველ ჯგუფში ბოლო 3 ადგილზე გასული გუნდები დატოვებენ ჯგუფს, მათ ადგილს დაიკავებენ II ჯგუფში გამარჯვებული აღმოსავლეთ, ცენტრალურ და დასავლეთ ქვეჯგუფში გამარჯვებული კოლექტივები.

„ნარინჯი“ პირველ ადგილზე

პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭოსა და გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ ინიციატივით კრასნოდარის მხარის ქალაქ სტანიცა კანევსკაიაში მოსწავლეთა არდადეგების დღეებში გაიმართა საინტერესო ასპარეზობები მინიფეხბურთში გოგონათა და ჭაბუკთა გუნდებს შორის.

გოგონათა საკავშირო ტურნირში პირველობისთვის ერთმანეთს ეცილებოდა 7 კოლექტივი. ჩვენი რესპუბლიკის გუნდი ამ ასპარეზობაში მაიკოპსკის რაიონის სოფელ ვარციხის ნორჩი ფეხბურთელებით იყო წარმოდგენილი (მწვრთნელი ტ. ფახურიძე), ჩვენმა გოგონებმა კარგად ჩაატარეს შეჯიბრება, თანმიმდევრულად დაამარცხეს ყაზახეთის „ნადეჟდა“ — 3:2, ლენინგრადის „ლუგა“ —5:0, აზერბაიჯანის „გარანფილი“ — 15:0, ფრედ, ერთნაირი ანგარიშით 1:1 დაამთავრეს შეხვედრები უკრაინის გუნდებთან „ეზმაილთან“ და „ნივასთან“ და მხოლოდ ერთი მატჩი წააგეს ყირგიზეთის „ალამედინთან“ — 2:4. **მაიკოპსკელი გოგონები ამ პრესტიჟულ ასპარეზობაში მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ.**

საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა ჭაბუკთა ასპარეზობა, სადაც 14 გუნდი იღებდა მონაწილეობას: მოასპარეზე კოლექტივები ორ ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილი. ტურნირში მიწვეული იყო ბულგარეთის სახალხო სოციალისტური რესპუბლიკის გუნდიც. საქართველოდან შეჯიბრებაში მონაწილეობდა მახარაძის სოფელ ნატანების ფეხბურთელთა გუნდი „ნარინჯი“ (მწვრთნელი ა. თავდუმაძე). მახარაძელებმა აღმავლობით ჩაატარეს ყველა შეხვედრა, დამარცხეს კალინინის „ქიმიკოსი“ — 2:0, პერმის „ბერიოზკა“ — 2:1, ლატვიის „დურბე“ — 6:0, მაგადანის „ჩუკოტკა“ — 3:0, მოლდავეთის „ფალეშტა“ — 7:1, ზაპოროჟიეს „სოკოლი“ — 8:0 და ქვეჯგუფინალურ შეხვედრაში „ნარინჯმა“ სძლია მასპინძელთა „პობედას“ — 4:2 **და გამარჯვებულის სახელი მოიპოვა.**

ნატანებელთა წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის აგროფირმა „ნატანების“ (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი გ. წითლიძე) ხელმძღვანელობას, რომლებიც ყურადღებასა და მხარდაჭერას არ აკლებენ ნორჩ ფეხბურთელებს.

არდევან ნიკოლაიშვილი,
პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ფეხბურთის სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.

* * *

სურათზე: ნატანების „ნარინჯის“ ნორჩ ფეხბურთელთა გუნდი.

ქულათა სხვაობა არ შეცვლილა

მოჰადრაკე ვაჟთა მსოფლიო თასის გათამაშების IV ეტაპის 7 ტურის შემდეგ კვლავ ქულანახევარი აშორებს იუგოსლავიელ ლიუბომირ ლიუბოევიჩს უახლოესი მდევრებისგან. ლიდერმა 5,5 ქულა მოაგროვა. 4-4 ქულა სამ მოჭადრაკეს აქვს — არტურ იუსუპოვს (ოღონდ მას 6 თამაშიდან), იოჰან ჰიარტარსონსა (ისლანდია) და რობერტ ჰიუბნერს (გფრ). იასერ სეირავანმა (აშშ) 6 პარტია ითამაშა და 3,5 ქულა მოაგროვა. 7 შესაძლებლიდან ამდენივე ქულა აქვთ ვიქტორ კორჩნოისა (შვეიცარია) და ბორის სპასკის (საფრანგეთი). მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი IX-XI ადგილებს იყოფს ალექსანდრე ბელიავსკისა და ვალერი სალოვთან ერთად. მათ 3-3 ქულა აქვთ 6-6 თამაშის შემდეგ. 6-დან 3 ქულა მოაგროვა ესპანელმა მიგელ ილესკასმაც, ოღონდ მას ერთი პარტია დასამთავრებელი აქვს.

VI და VII ტურების ტექნიკური შედეგები: **VI ტური** — ლიუბოევიჩი — ნოგეირასი 1:0, რიბლი — კორჩნოი 0:1, ვაჰანიანი — ბელიავსკი 0,5:0,5, ნიკოლიჩი — სპილმენი 0,5:0,5, სპასკი — შორტი 0,5:0,5, ილესკასი — ჰიარტარსონი 0,5:0,5, კასპაროვი — ჰიუბნერი 0,5:0,5, იუსუპოვი — სეირავანი 0,5:0,5. ისვენებდა სალოვი.

VII ტური: ლიუბოევიჩი —სპასკი 0,5:0,5, იუსუპოვი — კორჩნოი 0,5:0,5, ჰიუბნერი — რიბლი 0,5:0,5, ჰიარტარსონი — კასპაროვი 0,5:0,5, ვაჰანიანი — სალოვი 1:0, სპილმენი — ნოგეირასი 1:0, ბელიავსკი — ნიკოლიჩი 0,5:0,5. გადაიდო შორტ — ილესკასის პარტია. ისვენებდა სეირავანი.

იუდით პოლგარი და გარი კასპაროვი

სწორედ ეს ორი მოჭადრაკე გახდა 1988 წლის საჭადრაკო „ოსკარის“ ლაურეატი. საჭადრაკო ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის ტრადიციულ გამოკითხვაში 12 წლის უნგრელმა იუდით პოლგარმა 519 ქულა მიიღო. 372 ჟურნალისტმა მისცა ხმა მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძეს, 338 — უნგრელ ჟუჟა პოლგარს (ლაურეატის უფროს დას), 300 — შვედ პია კრამლინგს, 283 — ნანა იოსელიანს.

მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა 592 ხმა მიიღო და 148 ქულით გაუსწრო მსოფლიოს ექსჩემპიონს ანატოლი კარპოვს. შემდეგ მოდიან ინგლისელები ჯონათან სპილმენი (327) და ნაიჯელ შორტი (305), საბჭოთა დიდოსტატები ვასილი ივანჩუკი (199), არტურ იუსუპოვი (162), ალექსანდრე ბელიავსკი (153), ირლანდიელი იოჰან ჰიარტარსონი (147), ჰოლანდიელი იან ტიმანი (144), საბჭოთა მოჭადრაკე ვალერი სალოვი (127).



„მერანი“ №8.

გამოვიდა „ლელოს“ საჭადრაკო დამატება „მერანის“ მე-8 ნომერი. მკითხველი გაეცნობა სულ ახლახან თბილისში დამთავრებული მოჭადრაკე ქალთა 45-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის შედეგებს, ინტერვიუებს გამარჯვებულებთან.

ნიჭიერ ქართველ მოჭადრაკეს, ცნობილ ოსტატს არჩილ ებრალიძეს 80 წვლი შეუსრულდებოდა. სწორედ ამ თარიღს ეძღვნება გივი გამრეკელის წერილი „არჩილ ებრალიძის გახსენება“.

მკითხველი გაეცნობა იუნიორ მოჭადრაკეთა ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონს, 15 წლის ფრანგ ჟოელ ლოტიეს.

ამას წინათ პრესაში გამოქვეყნდა მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირის უძლიერეს მოჭადრაკეთა რეიტინგები. „მერანი“ ამ მოჭადრაკეთა შედარებით უფრო ვრცელ სიას აცნობს მკითხველს.

მკითხველთა დიდი მოწონება ხვდა „მერანის“ ახალ რუბრიკას „თქვენი სვლაა, მკითხველო!“, რაც რედაქციაში გამოგზავნილი მათივე წერილებითაც ნათლად ჩანს. დამატების ამ ნომერში ჭადრაკის მოყვარულთ ახალი დავალება აქვთ მიცემული.

„მერანში“ კიდევ არაერთი საინტერესო ინფორმაციაა დაბეჭდილი.

ცოტა რამ შაშის შესახებ

შაში რუსეთში გავრცელებას იწყებს XVIII საუკუნიდან, იგულისხმება სპორტული მხარე, შეჯიბრების ფორმა. საერთოდ კი რუსეთში მისი წარმოშობა IV-V საუკუნეებით თარიღდება. ეს თამაში რომიდან სლავ ვაჭრებს შემოუტანიათ.

1924 წელს პირველად ჩატარდა საბჭოთა კავშირის ოფიციალური ჩემპიონატი 64-უჯრედიან შაშში და პირველი ჩემპიონი გახდა მოსკოველი ოსტატი ვასილ მედკოვი, ჩვენს რესპუბლიკაში ოფიციალური ჩემპიონატები 1937 წლიდან იწყება. დიდი ხანია შაში ამშვენებს ჩვენს ყოფას. ისევე როგორც ჭადრაკი, იგი გახლავთ კულტურული შემოქმედების მაღალი ფორმა. 52 წლის მანძილზე სულ 37 რესპუბლიკური ჩემპიონატი ჩატარდა. ჩვენი რესპუბლიკა 64-უჯრედიან შაშში 18 ჩემპიონს ითვლის.

ყველაზე მეტჯერ გამარჯვება მოიპოვა თენგიზ ბარამიძემ (12-ჯერ). 7-ჯერ იყო რესპუბლიკის ჩემპიონი ალექსანდრე ბერუაშვილი, 6-ჯერ — თამაზ ბარამიძე.

სამწუხაროდ, შაშის არც დიდოსტატები გვყავს და არც საერთაშორისო ოსტატები. ოსტატთა რიცხვი 21-ს შეადგენს, აქედან 18 ვაჟია და 3 ქალი — თამარ გამხიტაშვილი, ნინო ფაილოძე (ორივე — 64-უჯრედიან შაშში) და მაია მოსიძე (100-უჯრედიან შაშში).

ალექსანდრე ბერუაშვილი,
სპორტის ოსტატი, საქართველოს შაშის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.

ახალი წიგნი

როგორც ცნობილია, ფიზიკურმა კულტურამ და სპორტმა ყველა დარგისა და სფეროს წარმომადგენლები მოიქცია თავის სფეროში, მაგრამ მან სამწუხაროდ ჯერ კიდევ ვერ მოიკიდა ფეხი დიასახლისებს შორის. დიასახლისები ყოველდღიურ საოჯახო-მომქანცველ საქმიანობას ეწევიან და მათთვის აუცილებელია საეციალური ფიზიკური ვარჯიშები, რაც გაახალისებს მათ, გააქარვებს დაღლილობას, კეთილსასურველ გავლენას მოახდენს ჯანმრთელობაზე.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ახლახან გამოსცა საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის შოთა სუხიშვილის ნაშრომი — „ყოველდღიური ტანვარჯიში დიასახლისებისათვის“, რომელიც ვფიქრობთ, კარგ სამსახურს გაუწევს ქალებს. წიგნში შეტანილია ვარჯიშთა ცხრა კომპლექსი: ყოველი ვარჯიში დასურათებულია, რაც აადვილებს მათ შესრულებას.

წიგნში შეხვდებით აგრეთვე მეთოდურ მითითებებს, რომელიც დაეხმარება დიასახლისებს ვარჯიშების სწორად შერჩევაში, ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით მათი შესრულების ინტენსიობისა და დატვირთვის დოზირების განსაზღვრაში.

წიგნი 3 თაბახის მოცულობისაა. გამოვიდა 20 ათასი ტირაჟით, ღირს 10 კაპიკი და იყიდება „საქწიგნის“ მაღაზიებში.

საფეხბურთო კავშირის შექმნის წინ

საგანგებოდ შექმნილმა კომისიამ შეიმუშავა სსრ კავშირის საფეხბურთო კავშირის წესდების პროექტი, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ და ჩვენს გაზეთშიც დაიბეჭდება. წესდების ახალი პროექტის ბედი გადაწყდება საფეხბურთო კავშირის კონფერენციაზე, რომლის მოწვევა განზრახულია 1 ივნისისთვის.

ქვეყნის საფეხბურთო კავშირი იქნება დამოუკიდებელი ორგანიზაცია, იგი მიიღებს კანონს ფეხბურთზე, სადაც გარკვევით აღინიშნება ფეხბურთელთა და მწვრთნელთა, აგრეთვე სპორტის ამ სახეობასთან დაკავშირებული პირების უფლებები და მოვალეობები. წესდებაში ურიდიულად განმტკიცდება ფეხბურთელთა გადასვლის პირობები, სპორტსმენთა და მწვრთნელთა კონტრაქტები არა მარტო ჩვენს, არამედ უცხოეთის გუნდებთანაც. საფეხბურთო მატჩების ტელეტრანსლაციის საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყდება ტელევიზიისა და ახლადშექმნილი საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელთა ერთობლივი შეთანხმებით.

საფეხბურთო კავშირის საზრუნავს წარმოადგენს არა მარტო მოქმედი სპორტსმენები და ვეტერანები, არამედ ახალი სპორტული ბაზების მშენებლობაც, მასობრივი და ბავშვთა ფეხბურთის განვითარების პრობლემებიც და სხვა.

როგორც წესდების პროექტშია გათვალისწინებული, საფეხბურთო კავშირს საწყის პერიოდში დიდ დახმარებას გაუწევს სსრ კავშირის სპორტსახკომი.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

გუდაპეშტსა და ათენში გაიმართა ამხანაგური მატჩები ეროვნული ნაკრები გუნდების მონაწილეობით.

უნგრეთის ნაკრებს ბუდაპეშტში სრული უპირატესობა ჰქონდა შვეიცარიის ეროვნულ გუნდთან შეხვედრაში — 3:0. კვლავ შესანიშნავ ფორმაშია უნგრელთა შეტევების ლიდერი დეტარი, მან საკუთრივაც გაიტანა ბურთი და სხვა ორი გოლის თანაავტორიც გახლდათ.

საბერძნეთის ნაკრებმა თავის მინდორზე მარცხი განიცადა იუგოსლავიის გუნდთან შეხვედრაში 1:4.

ინტენსიურად ემზადება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის ბრაზილიის ნაკრები. ბრაზილიელები 12 აპრილს საკონტროლო მატჩს გამართავენ პარაგვაის გუნდთან. ბრაზილიელთა მწვრთნელს ლაზარინის განზრახული აქვს რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელის შემოწმება საბრძოლო ვითარებაში.

● **უეფ-ამ** გამოაქვეყნა რამდენიმე ოფიციალური ცნობა ევროპის საკლუბო ტურნირების შესახებ. აი ისინიც:

თასების თასის ფინალი ლუცერნის ნაცვლად გაიმართება ბერნში, რადგან იქაური სტადიონი მეტ მაყურებელს იტევს.

უეფას თასის ფინალში „ნაპოლი“ — „ბაიერნის“ წყვილში გამარჯვებული პირველ ფინალურ მატჩს შინ ჩაატარებს.

1988-1989 წლების გათამაშებაში ქულათა კოეფიციენტის მიხედვით ლიდერობს იტალია — 9,50 (3 გუნდი ნახევარფინალში), შემდგომ ადგილებზე არიან რუმინეთი — 8,25 (1), ესპანეთი — 8,20 (2), გფრ — 7,57 (2), გდრ — 6,00 (1) და ბელგია — 5,50 (1).

ბომბარდირთა დავაში დაწინაურდნენ ლეკეტუში („სტიაუა“) და გუტშოვი („დინამო“, დრეზდენი) — 7-7 გოლი, ვან ბასტენი („მილანი“) და პენევი („სრედეცი“) 6-6 გოლი.

ბოლო გრძოლამ გადაწყვიტა

ნიუ-იორკი. თავისუფალ სტილით ჭიდაობაში მსოფლიო თასის ათამაშებაში გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ნაკრებმა დაიწყო ტურნირი აშშ-ს ქალაქებში. პენსილვანიის შტატის ქალაქ ედინბოროში გაიმართა საბჭოთა მოჭიდავეების პირველი ამხანაგური შეხვედრა, რომელიც მასპინძლებმა მოიგეს. ბრძოლის ბედი გადაწყდა მძიმე წონის ათლეტთა შეხვედრაში, მსოფლიოს ექსჩემპიონმა ბრიუს ბაუმჰარტნერმა ქულებით დაამარცხა (5:1) ევროპის ექსჩემპიონი ზაზა თორმანიძე და თავის გუნდს გამარჯვების ქულა მოუტანა.



იტალიაში გაიმართა ამხანაგური მატჩი ჭადრაკში მსოფლიოს ექსჩემპიონ ანატოლი კარპოვსა და შვედ დიდოსტატ ულფ ანდერსონს შორის. კარპოვისთვის ეს იყო მოსამზადებელი ეტაპი მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მომავალი ნახევარფინალური მატჩისათვის. მსოფლიოს ექსჩემპიონმა პირველი სამი პარტიის ყაიმით დამთავრების შემდეგ მეოთხე შეხვედრაში გაიმარჯვა და მოიგო ორთაბრძოლა ანგარიშით 2,5:1,5.

დორტმუნდი. შვეიცის მაგიდის ჩოგბურთელებმა მსოფლიო ჩემპიონატების გუნდურ ჩათვლაში მეათე გამარჯვება მოიპოვეს (1961 წლის შემდეგ). ამჯერად მათ ფინალში „მშრალად“ (5:0) დაამარცხეს ჩინეთის გუნდი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბოლო სამი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში წარმატებას ჩინელები აღწევდნენ, მაგრამ ახლა მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა (სსრ კავშირის ნაკრებმა IV ადგილი დაიკავა).

გამარჯვებული გუნდის ღირსებას იცავდნენ: იან-უვე ვალდნერი, მიჰაელ აპელგრენი და იორგენ პერსონი.



გივი ფარცვანია ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი და საკავშირო კატეგორიის მსაჯი ველოსპორტში გივი გიორგის ძე ფარცვანია. რესპუბლიკის სპორტულმა საზოგადოებრიობამ დაკარგა უნარიანი სპეციალისტი, კეთილშობილი ადამიანი და ახალგაზრდა თაობის კარგი აღმზრდელი.

გივი ფარცვანია დაიბადა 1929 წლის 3 სექტემბერს სოხუმში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო გემოშემკეთებელ ქარხანაში ზეინკლად. ამ პერიოდში იგი ინტენსიურად ვარჯიშობს და მონაწილეობს რესპუბლიკურ ტურნირებში.

1952 წელს იგი მოიწვიეს „დინამოს“ რესპუბლიკურ საბჭოში მწვრთნელად, სადაც 20 წლის მანძილზე ბევრი სახელოვანი ველოსიპედისტი აღზარდა. გივი ფარცვანიას უნდა უმადლოდნენ თავიანთ წარმატებას დიდ სპორტში საბჭოთა კავშირის ჩემპიონები კარლო შენგელია და ვასილ ფეტისოვი, რესპუბლიკის არაერთგზის ჩემპიონები ალექსანდრე თავაძე, ბაბკენ გუკასიანი, ლიუბოვ ატლანოვა, ნადეჟდა კლიმენკო, სხვები და სხვები.

სხვადასხვა დროს გივი ფარცვანია მუშაობდა ველოსპორტის წამყვან სპეციალისტად „ლოკომოტივში“, საქართველოს პროფსაბჭოს მეთოდკაბინეტში უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკურ სკოლაში. 1956 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველ სპარტაკიადაზე საქართველოს ველოსიპედისტთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი იყო.

ენერგიული, საქმის მცოდნე, მუყაითი და თავდამბალი [illegible]ლისტი სპორტშიცა და ცხოვრებაშიც საყოველთაო სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა.

ველოსპორტის რესპუბლიკური ფედერაცია; სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო.

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეჯამა „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-14 ტირაჟების შედეგები, რომლებიც 2 აპრილს გაიმართა.

„სპორტლოტო“ 6 45“-დან: გაიყიდა 1872989 ვარიანტი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (48 ვარიანტი) მოგება 1170 მანეთია, ოთხისთვის (3012) — 27, სამისთვის (52088) —3.

საქართველოში: 6-0, 5-0, 4-72 5-999.

„სპორტლოტო 5 36“-დან: გაიყიდა 19486957 ვარიანტი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (30 ვარიანტი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (4813) — 203, სამისთვის (182 758) — 9.

საქართველოში: 5-0, 4-139, 3-4549.

მე-14 ტირაჟების მოგებები გაიცემა 1989 წლის 17 აპრილიდან 17 მაისის ჩათვლით.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

უე 07163